გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №222

2023 წლის 8 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის" (პ/ნ 404391136), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 4 ოქტომბერს (N10/202327761-20) შემოსულია შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" წერილი, რომელშიც იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, მოთხოვნილია, ქ. გორში, ტყვიავის ქუჩის მიმდებარედ ს/კ 66.45.05.586 მიწის ნაკვეთი (ფართობი: 7 კვ.მ.)

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 19 ოქტომბერს N366-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.05.586, დაზუსტებული ფართობი - 7.00 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, ტყვიავის ქუჩის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 4,500.00 (ოთხიათას ხუთასი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.05.586, ფართობით 7 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით,

იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ტყვიავის ქუჩის მიმდებარედ ს/კ 66.45.05.586 მიწის ნაკვეთი, ფართობით 7 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას'' (ს/ნ 404391136), საწვავის ფასმაჩვენებლის განთავსების მიზნით.
2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.05.586, დაზუსტებული ფართობით 7.00 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 4,500.00 (ოთხიათას ხუთასი) ლარით.
3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით.
4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) წლის ვადით.
5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე